# 1 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

# 2023 ორშაბათი

საქ 11,1–18; ფს 41–42; იო 10,11–18

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

იმიტომ მიყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სიცოცხლეს ვდებ იო 10,17

დღეს ჩვენ წმინდა იოსებს, როგორც მშრომელს ისე ვიხსენებთ. მამის საყვარელი შვილი, მისივე მორჩილი იყო, სწორედ ამიტომ ერგო წილად იესოს მამობა. მარიამთან, მის მეუღლესთან ერთად, აღზარდა იგი რწმენითა და შრომის სიყვარულით. თავადაც ღვთის სიყვარულით და საკუთარი ოჯახის გულისთვის ირჯებოდა. ის ყველა მშრომელი ადამიანის მაგალითი და სტიმულია.

# 2 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

წმ. ათანასე, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +373, (მ) თ

# 2023 სამშაბათი

საქ 11,19–26; ფს 86; ио 10,22–30

ჩემი საქმეები, ჩემი მამის სახელით
რომ ვაკეთებ, მოწმობენ ჩემზე ио 10,25

ამ სიტყვებით, იესო, კეთილად მიუგებს თავის მტრებს და ცდილობს მათი გულების გახსნას ჭეშმარიტებაში.
მადლობა, იესო, შენი გულმოწყალე მზერის გამო, რასაც ყოველ კაცზე აჩერებ, ვისი გადარჩენაც გწადია ეშმაკის ძალისგან.

# 3 მაისი

**2023**

წმიდანნი ფილიპე და იაკობ მოციქულნი, დ, [ს], წ

## ოთხშაბათი

1კორ 15,1–8; ფს 18; იო 14,6–14

სიტყვებს, რომელთაც გეუბნებით, ჩემით არ ვამბობ იო 14,10

იესო პასუხობს ფილიპეს თხოვნას: „მაჩვენე მამა“ და ეუბნება: „ვინც მე მიხილა, მამა იხილა“, რამეთუ იგი ყოველივეს ამბობს და იქმს, რასაც მამაში ხედავს და მისგან ესმის. ამრიგად, როდესაც იესოს ვუჭვრეტთ, ზეციერ მამას ვხედავთ და მასზე მორჩილებით ვცხოვრობთ, როგორც მისი შვილნი. წმიდა მოციქულნო ფილიპე და იაკობ, ილოცეთ, რათა ჩვენც იგივე მორჩილებაში დავრჩეთ!

# 4 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

# 2023 ხუთშაბათი

საქმ 13,13–25; ფს 88; ინ 13,16–20

ვინც მიიღებს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მიმიღებს ინ 13,20

დღესაც მიავლენს იესო თავის მოწაფე-ებს წუთისოფელზე სიყვარულის საბო-ძებლად, სახარების საუწყებლად და წმიდა საიდუმლოთა აღსანიშნავად. ის, ვინც მოციქულებს იღებს, ჭეშმარი-ტად იესოს იღებს, ვინც მათი მეშვეობით საკუთარ თავს გვიძღვნის.

# 5 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

# 2023 პარასკევი

საქმ 13,26–33; ფს 2; იო 14,1–6

მე მივდივარ, რათა ადგილი
მოგიმზადოთ იო 14,2

მადლობა, იესო, რამეთუ შენთან და მა–
მასთან სიახლოვეს გვიმზადებ “ადგილს”
, რომელიც მარადისობიდან გველის. შენ
უკვე ამ წუთიდანვე, ყოველდღიურად
ამზადებ ჩვენთვის „ადგილს“ ანუ სიყვა–
რულის მსახურებას შენს ეკლესიაში.

# 6 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

# 2023 შაბათი

საქ 13,44–52; ფს 97; ინ 14,7–14

რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ ინ 14,13

რამდენჯერ ახდენილა იესოს ეს სიტყვები. ის ჩვენგან ითხოვს ერთიანობას და მამისთვის მოსაწონ საქმეებს; ჩვენს ლოცვასაც უსათუოდ შეისმენს.
მადლობა, იესო!

# 7 მაისი 2023

**პასექის V კვირადღე, «ა», [I], თ**

## კვირა

საქ 6,1-7; ფს 32; 1პეტ 2,4-9; ინ 14,1-12

მე რომ მიცნობდეთ, ჩემი მამაც გეცნობებოდათ ინ 14,7

ნეტარია, ვინც გირწმუნა, იესო! ისინი, თავიანთ ცხოვრებაში შენი სიტყვის მი-ღებით და შენს ეკლესიაში წმიდა საი-დუმლოთა ზიარებით, მამასთან მივლენ: მათ ცხოვრებას საუკუნე სიმშვიდე და მადლიერება დაეუფლება.

# 8 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

# 2023 ორშაბათი

საქ 14,5-18; ფს 113; ინ 14,21-26

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

სიტყვა, რომელსაც ისმენთ, ჩემი კი არაა, ჩემი მომავლინებელი მამისაა ინ 14,24

იესო ღვთის ძეა, მარად მორჩილი. ის ყოველივეს გვეუბნება, რასაც მამისაგან ისმენს. თუ მას მოსმენასა და მორჩილებაში მივბაძავთ, ჩვენც გადავცემთ ყველას ღვთის სიტყვას და სიბრძნეს, ანუ წმინდა და ჭეშმარიტ სიყვარულს.

# 9 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

# 2023 სამშაბათი

საქ 14,19–28; ფს 144; იო 14,27–31

ნაციზმზე გამარჯვების დღე

მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ იო 14,27

ის სიმშვიდე, რომელიც შენიანებზე გაეცი მათთვის უმძიმეს წუთებში – როცა მათ დატოვებას აპირებდი – და კაცობრიობის ისტორიის უბნელეს ჟამს, რამეთუ თავის შემოქმედს კლავდა, გინდა რომ ჩვენც მოგვანიჭო, შენს დღევანდელ მოწაფეებს: გავუფრთხილდებით მას, იესო, რათა შენი ჭეშმარიტი მოწმენი ვიყოთ.

# 10 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

# 2023 ოთხშაბათი

საქ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

ამით განდიდდება ჩემი მამა,
თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და
ჩემი მოწაფეები იქნებით იო 15,8

იესოს მიბაძვით, მიმღები და მოწყალე გულით, მისი ჭეშმარიტი მოწაფეები ვიქნებით, პატივს მივაგებთ მამას, განვადიდებთ მას, ვისაც ყოველი კაცის გამოხსნა სწადია ბოროტებისგან.

# 11 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

# 2023 ხუთშაბათი

საქ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით იო 15,10

მადლობა, იესო, რამეთუ შენი მცნებებით გვქომაგობ, ისინი მხოლოდ სიყვარულის წყალობას წარმოადგენენ. შეგვაგონებ პატიებას და თავდადებას: ამას შენი და შენი წმიდების მაგალითზე გვასწავლი. შენი სულიწმიდით კონკრეტულად შეგვეწევი, რომ დავრჩეთ შენს სიყვარულში.

# 12 მაისი

# 2023

პასექის V კვირა [I], თ

*წმ. ნეილოს და აქილევსი, წამ. +IIIს.;*
*წმ. პანკრატიუსი, წამ. + 304*

## პარასკევი

საქ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

**წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაული**
**საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში**

ეს არის ჩემი მცნება: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ იო 15,12

როცა იესოს ამ სიტყვებს ვასრულებ, როცა მასავით მიყვარს და სხვასაც ვუყვარვარ, როცა ვცდილობ ჩემი ძმე-ბის მორჩილებას, გულს სიმშვიდე და სიხარული ეფინება. ამასთანავე, მისი მისიონერი და მოწმე ვხდები, სამყაროც ოდნავ გაჯანსაღდება.

# 13 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

*ფატიმის ღვთ. ქალწ. მარიამი - 1917*

# 2023 შაბათი

საქ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

თუ თქვენ სოფელს სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა იო 15,18

ჩვენ, იესოს მეგობრებს, არ გვიკვირს, როცა უარგვყოფენ და შეგვიძულებენ, თუნდაც ზოგიერთი ახლობელი: ვინც ამ სოფელს და მის სიმდიდრეს დასწაფებია, ვერ მიიღებს იესოს, ღატაკსა და მდაბალს... მაგრამ ის ძლევამოსილია და ძალუძს შეიყვაროს და აკურთხოს ისინი, ვინც ჩვენ გვდევნიან!

# 14 მაისი

**პასექის VI კვირადღე, «ა», [II], თ**

# 2023 კვირა

საქ 8,5-8.14-17; ფს 65; 1პეტ 3,15-18; იო 14,15-21

სალელ დედათა დღესასწაული

ობლად არ დაგტოვებთ იო 14,18

ჩვენ ქრისტიანებს, თუნდაც ყველაზე მძიმე წუთებში, რად გულის სიღრმეში რად გვიხარია? რადგან უფალი ჩვენი იესო თავის აღთქმას ასრულებს: კვლავაც დაჰბერს ჩვენზე თავისი სულიწმიდის სიოს, როგორც მამა: ნუგეშისმცემელი, მფარველი, მაცოცხლებელი...

# 15 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

# 2023 ორშაბათი

საქ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 16,4

ეს გელაპარაკეთ... რათა გაიხსენოთ იო 16,4

რამდენი ცხოვრებისეული სიტყვა, რამდენი წმინდა მაგალითი მოგვეც, იესო! ყოველ დილით, გულით შევთხოვთ სულიწმიდას, რათა რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაგვახსენოს ისინი: ისინი შუქს, ძალას და ნუგეშს გვმატებენ.

# 16 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

*(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი, VIIIს; / ღირ. მამანი მიქაელ და ახსენ ულუმბოელნი, IXს, მონაზონნი*

# 2023

## სამშაბათი

საქ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

და როცა ის მოვა, ამხილებს სოფელს ცოდვის, სიმართლისა და განკითხვის გამო იო 16,8

როცა მოდიხარ, სულო წმიდაო, ყველაფერს ნათელი ეფინება: ადამიანის ჭეშმარიტი ცოდვა ის არის, რაც ხელს უშლის მას შვილობრივ ურთიერთობაში იყოს მამასთან და ნებას არ აძლევს საკუთარი ცხოვრების ცენტრად აღიაროს ძე იესო.

გელი, სულო წმიდაო, ჩემთვის და ყოველი მოძმისთვის!

# 17 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

# 2023 ოთხშაბათი

საქ 17,15.22 18,1; ფს 148; ინ 16,12-15

სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ
სრულ ჭეშმარიტებაში ინ 16,13

დღეს ამ სასიხარულო ამბავს გვაუწყებს იესო. სულიწმიდა უკვე ჩვენშია, ვინც მოვინათლეთ და ძისა და მამის ცხოვრებაში ჩავიძირეთ. მას მივყავართ იესოსთან, რათა ვემსახუროთ მას და ვეზიაროთ მის სიყვარულს, ყოველწამიერად, მეტადრე მაშინ, როცა ევქარისტიაში ვმონაწილეობთ და ჩვენს ცოდვებს ვაღიარებთ. იესოსთან მისასვლელად, სულიწმიდას ყველა მათგანი სჭირდება, ვინც მისი მორჩილია.

# 18 მაისი

**ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ**

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს.

# 2023 ხუთშაბათი

საქ 1,1-11; ფს 46; ეფ 1,17-23; მათ 28,16-20

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

ხოლო თერთმეტი მოწაფე წავიდა გალილეაში, იმ მთაზე, რომელიც იესომ დაუთქვა მათ მთ 28,16

და იმ მთაზე იხილეს თავიანთი მოძღვრის დიდება. რამდენჯერ მეც, შენც, იესოს მიერ აღთქმულ „მთაზე“, მისი მორჩილების ადგილზე, წილად გვერგო მისი ყოფნის ბედნიერება, მისი დიდების განჭვრეტა!

იესო, ზეცად ამაღლებულო, შენ ჭეშმარიტად მუდამ მათთან ხარ, ვინც შენი სიტყვით ცხოვრობს! გეთაყვანებით შენ!

# 19 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

# 2023 პარასკევი

საქ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

თქვენ დამწუხრებულნი ხართ ახლა; მაგრამ კვლავ გიხილავთ იო 16,22

იესო, მიუხედავად იმისა, რომ შეგეძლო, არ ინებე ჩვენი ცხოვრებიდან გაგექრო მწუხარე წუთები, მათში შენი სახე რჩება დაფარულში. გვირჩევ, რომ ნდობით ვიცხოვროთ ამ წუთებში: ისევ გნახავთ იესო და ჩვენი ტკივილი, მამაზე შეწირული, რწმენის ნაყოფს მოიტანს ეკლესიასა და წუთისოფელში.

# 20 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

*(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, VIს, (მ); / წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი, +1444*

## 2023 შაბათი

საქ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

ირწმუნეთ, რომ ღვთისაგან გამოვედი იო 16,27

მოციქულები უბრალო ხალხის წრიდან იყვნენ, მაგრამ მათ თავიანთი ცხოვრება თავიანთ მოძღვარზე – იესოზე დააფუძნეს; ირწმუნეს, რომ იგი ზეციდან, ღვთისაგან მოვლენილი იყო. ეს ახარებდა მამას და თავისი სიყვარული დაღვარა მათზე. მოდი, სულო წმიდაო, აღავსე წუთისოფელი და იესოს ყოველი მორწმუნის გული: და დედამიწა სამოთხედ გადაიქცევა!

# 21 მაისი

**პასექის VII კვირადღე, «ა», [III], თ**
(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

# 2023 კვირა

საქმ 1,12–14; ფს 26; 1 პეტ 4,13–16; იო 17,1–11a

მამაო, განადიდე ძე შენი! იო 17,2

მაშ, მივიღოთ მწუხარებისა და განსაცდელების წუთები, რასაც ცხოვრება გვიმზადებს, განსაკუთრებით ის, რაც იესოს მოწაფეობას უკავშირდება. ის ამ წუთებს სიხარულად გადააქცევს: ისწავლე მამისგან, ვინც იგი მესამე დღეს აღადგინა მკვდართაგან. ალილუია!

# 22 მაისი

რიგითი VII კვირა [III], თ
(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VIს, (მ), თ
*წმ. რიტა კასიადან, +1447*

# 2023 ორშაბათი

საქმ 19,1–8; ფს 67; იო 16,29–33

მე ვძლიე სოფელს იო 16,33

იესო, შენი მოწყალებით შენთანვე შეერთებულნი, ჩვენც შეგვიძლია ვძლიოთ წუთისოფელს, რომელსაც მრავალნაირად სურს ჩვენი დამონება. შენი სიტყვა გონებას გვინათებს და ყოველი სიცრუისგან გვიცავს, ხოლო შენი სიწმინდის სული, რომელიც ამ სოფელს არ ეკუთვნის, გვაძლიერებს ჩვენ.
წმინდა რიტა, იესოზე უზომოდ შეყვარებულო, ილოცე ჩვენთვის!

# 23 მაისი

რიგითი VII კვირა [III], თ

# 2023 სამშაბათი

საქ 20,17–27; ფს 67; იო 17,1–11

სოფლისთვის კი არ გევედრები,
არამედ მათთვის იო 17,9

იესო ემშვიდობება მოციქულებს და ლოცულობს მათთვის. ის სთხოვს მათ, რომ ერთნი იყვნენ მამასთან, სრულად მიიღონ მისი ზრახვანი და კაცობრიობის ხსნის მისეული ჩანაფიქრი. მათთვის, ვინც იგი მიიღო, შეუძლია ილოცოს, ხოლო “სოფლისთვის”, ანუ მათთვის, ვისაც მისი სიტყვები აღიზიანებს და უარყოფს, ვერ “ილოცოს”, ანუ მათთან ერთად ვერ შეუერთდება მამას. მადლობა, იესო, შენს ძმებთან ერთობის მადლისთვის, რათა სამყარომ ირწმუნოს და შეიცნოს შენი დიდი სიყვარული.

# 24 მაისი

რიგითი VII კვირა [III], თ

## 2023 ოთხშაბათი

საქ 20,28–38; ფს 67; ио 17,11–19

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

შენთან მოვდივარ და ამას სოფელში ვლაპარაკობ, რათა აივსნენ ჩემი სიხარულით ио 17,13

იესო ყველა თავისი მოწაფისთვის ევედრება მამას. ლოცულობს, რათა ერთი გული ჰქონდეთ, გამოსცადონ მისი უბადლო სიყვარული, მარადიული სიხარულის ნამდვილი წყარო. ასე იქნებიან სხვათა ქომაგნი და მოიზიდავენ, რათა გააცნონ ის და მისი მომავლინებელი.

# 25 მაისი

რიგითი VII კვირა [III], თ

*წმ. ბედა ღირსი, ხც. და ეკ. მძღვ., +735;*
*წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085;*
*წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქალწ., +1607*

# 2023 ხუთშაბათი

საქ 22,30; 23,6-11; ფს 15; ინ 17,20-26

მე ვაუწყე მათ შენი სახელი ინ 17,26

ბოლო სერობაზე იესო ლოცულობს. მამას მოუხმობს და „მართალს“ ეძახის, რანეთუ საუკუნოდ მამაა და ზრუნავს თავისი შვილების ჭეშმარიტ საზრდოზე. პურის გამრავლების დროს, იესომ სწორედ მას მიაპყრო მზერა, რომ ეს ნიშანი აღსრულებულიყო. ლაზარეს სამარხთან, ისევ მაღლა აიხედა და წარმოთქვა: „ვიცოდი, რომ შეისმენდი“.

მადლობა, იესო, რამეთუ შენი ცხოვრებისეული საქმეებითაც გამაცანი ზეციერი მამა.

# 26 მაისი

რიგითი VII კვირა [III], თ

წმ. ფილიპე ნერი, მღვდ. +1595, (მ), თ;
*(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.*

# 2023 პარასკევი

საქ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

## მომყევი იო 21,19

პეტრეს უკვე მიეღო ეს მოწვევა, როცა თავის ძმასთან, ანდრეასთან ერთად ტბაში ბადეებს ყრიდა. ახლა უკვე აღმდგარი იესო იმეორებს ამ სიტყვას. იგი სამჯერ ეკითხება მას, უყვარს თუ არა ის ღმერთის სადარი, გამორჩეული სიყვარულით და იქვე შეახსენებს, რომ ეს გულისხმობს მის უკან ყოფნას. იგი გაუძღვება ეკლესიას თავისი გეგმების მიხედვით. პეტრესთვის, ეს ხშირად "სიკვდილს" მოასწავებს. მადლობა, იესო, მოციქულის მოხმობის გამო. მასთან ერთად მეც გამოგყვები.

# 27 მაისი

რიგითი VII კვირა [III], თ

*წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ., +604*

# 2023 შაბათი

საქ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

ვიცით, რომ მისი მოწმობა ჭეშმარიტია იო 21,24

მოციქული იოანე მოწმობს იესოს პეტ-რესთან შეხვედრაზე, ვისაც მან მორწმუ-ნეები ისევე მიანდო, როგორც მწყემსს – ცხვრები. როდესაც ჩვენს ეპისკოპოსს ვუსმენთ, მოციქულის მოწმობას ვიღებთ, რომელიც გვაცნობს უფალ იესოს, მისა-დმი სიყვარულს და მსახურებას აღვივე-ბს ჩვენში.

# 28 მაისი

**სულთმოფენობა, «ა», დდ, [ს], წ**

# 2023 კვირა

საქ 2,1-11; ფს 103; 1კორ 12,3-7.12-13; იო 20,19-23

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მიიღეთ სულიწმიდა იო 20,22

მკვდრეთით აღმდგარმა იესომ, მოციქულებთან მშვიდობის გაცვლის შემდეგ, მათზე სულიწმიდა მოჰფინა და თავისი სიცოცხლე უბოძა.
მადლობა, იესო, რამეთუ ამ დიდ დღესასწაულზე ჩვენც მოგვფინე შენი სული. მადლობა, ამ მადლუსთვის, რასაც მოგვფენ შენს წინაშე მყოფთ, თაყვანისცემის წუთებში. მადლობა, რომ შენი სულიწმიდით, გვანიჭებ ცოდვათა მიტევების და გულმოწყალების მოწმეებად ყოფნის უნარს.

# 29 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV]

წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), [ს], თ

# 2023 ორშაბათი

საქ 7,9-17 ან 2კორ 2,14–3,3; ფს 125; იო 12,24-26

ვინც მე მემსახურება, მას
პატივს მიაგებს მამა იო 12,26

ვინ ემსახურებოდა იესოს? უპირველეს ყოვლისა, მას თავისი დედა – მარიამი ემსახურებოდა. დღეს მამას ერთობაში, თაყვანს ვცემთ მას, როგორც დედას მთელი ეკლესიისა, ასევე მოციქულთა და მოწამეთა, რომლებმაც მისი ძისთვის თავი დასდეს. დღეს სამ მათგანს ვიხსენებთ, იესოს სახელით გაერთიანებულთ, რომლებიც მისი ჭეშმარიტების გამო მოკლეს. ზეციერი მამა პატივს მიაგებს მათ მთელი ეკლესიის მოწიწებით. იესო, მეც გემსახურები იმ სიყვარულის გაძლიერებით, რის მაგალითსაც გვაძლევს ჩვენი დედა, ღვთისმშობელი მარიამი.

# 30 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

# 2023 სამშაბათი

ზირ 35,1-12(1-15); ფს 49; მარ 10,28-31

არავინ არის, რომ ჩემი გულისთვის მიეტოვებინოს სახლი ან ძმები... და ასწილად არ მიეღოს მარ 10,29-30

ასე პასუხობს იესო პეტრეს, იმ კითხვა-ზე, თუ რას მიიღებდა იმის სანაცვლოდ, ყველაფერი რომ დაეტოვებინა და მას გაჰყოლოდა. ასე მოგვეცა შესაძლებ-ლობა, იესოსგან ეს ლამაზი აღთქმა მი-გვეღო, აღთქმა, რომელიც დიდებულად შესრულდა წმინდანთა ცხოვრებაში. შემიძლია ვთქვა, რომ იგივე აღმით-ქვა იესომ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შევძელი ბოლომდე მისთვის დამეთმო ჩემი თავი.

# 31 მაისი

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ

*(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტირიჭანი, +693*

# 2023 ოთხშაბათი

სოფ 3,14-17 ან რომ 12,9-16; ფს: ეს 12,2-6; ლკ 1,39-56

შეეწია თავის მსახურს, ისრაელს ლკ 1,54

მარიამ, დღევანდელ ზეიმზე შენს განჭვრეტაში ვართ, როდეს შენს მოხუც ნათესავთან, ელისაბედთან მიეშურები დასახმარებლად. შენი პირველი შეწევნა მასში რწმენის გაღვიძება და ლოცვაში ქომაგობაა.

შენ, ვინც პირველმა მიიღე იესო, მასავით იჩენ მზაობას და გულუხვობას, როგორც შენი მამების ღმერთი. ჩვენც სიხარულით ვსწავლობთ შენგან, ჩვენო ტკბილო დედაო.